საქართველოს

თავდაცვის მინისტრის ბრძანება №79

2023 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბრის №69 ბრძანებით (ვებგვერდი, 23/09/2016, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016415) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს ,,გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$გ^1$“ ქვეპუნქტი:

,,$გ^1$) მართავს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გრიგოლ გიორგაძე**